3 (15) მარტს 1867. № 9. მეორე წელიწადი.

გაზეთის ფასი:

გაგზავნით ტფილისში და გარეშე ადგილებში: ერთის წლისა — 7 მან., ნახევრის წლისა — 4 —, სამის თვისა — 2 — 50 კ.
გაუგზავნელათ: — — — 6 მან., — — — 3 — 50 კ., — — — 2 —

ცალკე ერთის ნუმრისა გაუგზავნელათ — 3 შაური.
„დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკევობით.

# დროება

## საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

ხელის-მოწერა მიიღება: ტფილისში „დროების“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კომპ. სტამბაში, გოლოვინის პროსპექტზედ, რეიტერის სახლში.
ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.
რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი განცხადება სხვა და სხვა ენებზედ. ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულებრივის ასოებით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ.

შინა არსი: მმართებლობის განკარგულება: — უმაღლესი ბრძანება კავკასიის ნა ესტნიკის სამხედრო ოკრუგში. — ბრძანება კავკასიის სამმართველოში. — განცხადება ქუთაისის გუბერნიის მარშლის თანამდებობის აღმასრულებელისგან. — დამატებითნი კანონნი. — პოლიტიკა: — ფრანცია. — ანგლია. — იტალია. — საბერძნეთი. — ამერიკა. — ტელეგრამმები. ფოჩტის სამმართველოსგან ფელეტონი. — რატომ ჩვენ გარემოებაზედ არასა ვფიქრობთ. ლექსები. — საკვირველი ამბავი. — დიდი საქმე. კერძოობითნი განცხადებანი.

### მმართებლობის განკარგულება.

უმაღლესი ბრძანება კავკასიის სამხედრო ოკრუგში.

პეტერბურგს, 20 იანვარს. წარჩინებულის სამსახურისათვის ქუთაისის ცხენოსან-ირრეგულიარის პოლკის იუნკრებს: ლუარსაბ ქორქაშვილს, კონსტანტინე შარვაშიძეს, დიმიტრი მდივანს, სვიმონ ტკეციშვილს მიეცემათ პრაპორშჩიკობა. დათხოვება: ქუთაისის ცხენოსან-ირრეგულიარის პოლკის კარნეტი მაჭავარიანი საზღვარს გარეთ კონსტანტინოპოლს წასასვლელად ოცდა რვა დღის ვადით.

ბრძანება კავკასიის ნამესტნიკის სამმართველოში.

ტფილისს, 1867 წ. 3 თებერვალს. სამსახურში დაინიშნება სამსახურიდგან გადამდგარი პარუჩიკი ჩოლოყაშვილი. დაინიშნება ერევნის გუბერნიის პროკურორი უაითმაზოვი ქუთაისის გუბერნიის სამსჯავროს თავსმჯდომარედ.

ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობის მარშლის თანამდებობის ამსრულებელი 93 მუხლის ძალით IX т. свод. зак. განუცხადებს ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობას, რომ ამ წლის 1-ლს მაისს დაიწყება ქ. ქუთაისში ჩვეულებრივი საგუბერნიო შეკრებილება და ამის გამო ის უმორჩილესად სთხოვს ქუთაისის გუბერნიის თავადსა და აზნაურს, რომ იმათ ორის თვის წინათ, ესე იგი 1-ლს მარტს წარუდგინოს უეზდის მარშალს უეზდის ნაჩალნიკისაგან მიცემული მოწმობა, რომელსაც მოითხოვს 53 მუხლი III т. зак. о служ. по выбор; ვისაც ზემოხსენებული მოწმობა არ ექნება, ის ვერ მიიღებს მონაწილეობას შეკრებილების საქმეებში. 1867 წ. 31 იანვარს.

— ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობის მარშლის თანამდებობის ამსრულებელისგან. მალათ ვრაცხ გაუხსენო უფალს წევრებს თავად-აზნაურობისას, რომლის წინამძღომლადაც ვარ, რომ ყოველ გვარის მიუხდომლობის ასაცილებლად მომავალს ამორჩევაში ყველამ სახეში უნდა იქონიოს განსაკუთრებით შემდეგნი სჯულის მუხლნი: изъ III тома о служ. по выб. 34, 35, 36, 37, 52, 54, 74, 75, 77, 78, 80, 81, 82, 83, 84, 87, 88, 94, 95, 96, 101, 102, 103, 104, 105, 117, 121, 122, 135 და изъ XV т. зак. угол. и испр. 1959, 1961, 1965, 1966 და 1967.

ნამდვილზედ მისის იმპერატორებითის დიდებულების საკუთარის ხელით დაწერილია:

„ესრეთ იქმნეს.“

პეტერბურგში.
1-ს დეკემბერს 1866 წელსა.

### დამატებითნი კანონნი.

13 ოკტომბრის 1864 წლის წეს-დებათადმი გლეხთათვის, გამოსულთა ყმობითის დამოკიდებულებისაგან სამეგრელოში.

1. ბატონური უფლება გლეხთა ზედა სამეგრელოისა, დასახლებულთა საბატონოს მამულებზედ, ანუ რომელნიცა ჰსდგანან ხიზნად (მინდობილად) სხვა მებატონის ანუ უწყების მიწებზედ, ანუ ჰსცხოვრებენ ქალაქთა და სავაჭრო სოფელთა შინა მოისპობა სამარადისოდ.

შენიშვნა. სამეგრელოს შეადგენენ მაზრანი: ზუგდიდისა, სენაკისა და ლეჩხუმისა.

2. გლეხთა ზედა, გამოსულთა ესრედ ყმობითის დამოკიდებულებისაგან, განვრცელდებიან უმაღლესად დამტკიცებულნი ტფილისის გუბერნიისათვის, 13-ს ოკტომბერს 1864 წელსა, სჯულ-დებანი, ყოველთა იმა ნაწილთა შინა, რომელთაცა ზ. და არა დაწესდებიან განსხვავებანი ამა დამატებითთა კანონთა შინა, და რომელნიცა არა ეწინააღმდეგებიან ჰაზრსა მათსა.

შენიშვნა I. ეს უმაღლესად დამტკიცებულნი 13-ს ოკტომბერს 1864 წელსა სჯულდებანი არიან I): დამატებითნი კანონნი 19-ის თებერვლის 1861 წლის წესდებათადმი გლეხთათვის, გამოსულთა ყმობითის დამოკიდებულებისაგან ტფილისის გუბერნიაში; 2) ადგილობითი წეს-დება, თუ როგორ უნდა დაბინავდნენ ანუ გაეწყვნენ მამულითა გლეხნი, დასახლებულნი იქ საბატონო მიწებზედ, და 3) კანონნი დაწესებისათვის სოფლის საზოგადოებათა, იმათის სასოფლო მმართველობისა და გარდასახადთა სახელმწიფოთა და სასოფლოთა იმავე გუბერნიაში.

შენიშვნა 2. თუ როგორ უნდა გაეწყოს მდგომარეობა გლეხთა, დამოკიდებულთა პირთაგან ჩამომავლობით არა კეთილშობილთა, დაიდებიან საკუთარნი კანონი, ამა კანონების ბოლოს დამატებულნი.

3. კავკასიის ნამესტნიკს მიენდობა, მოსაყვანებლად მოქმებაში ამა დამატებითთა კანონთა, მიჰსცეს დაწვრილებითნი დარიგებანი, შეთანხმებულნი წესდებათათანა უმაღლესად დამტკიცებულთა 13-ს ოკტომბერს 1864 წელსა ტფილისის გუბერნიისათვის.

I. დამტკიცებისათვის გლეხებზედ უძრავთა ქონებათა, რომელიც იმათ მოუპოვებიათ საკუთრებად.

4. უკეთუ მებატონეს და გლეხს შორის წარმოჰსდგა დავა იმისთანა უძრავ ქონებაზედ, რომელიც თუმცა გლეხს მოუპოვებია თავის

### რატომ ჩვენ მდგომარეობაზე არასა ვფიქრობთ?

(მამულო საყვარელო, შენ როსღა აყვავდები?)

ი. ჭავჭავაძე.

ჩვენ ქვეყანაში ბატონ-ყმობა გათავდა. ამ საქმით, რასაკვირველია, ბევრ კაცს მიეცა ღონისძიება ერთი მხრით მაინც თავისუფლათ ჭამოს პური და თავის ნებაზე და თავის ფიქრით იმუშაოს; ამ საქმით ხელმწიფისთვის და ბატონისთვის ხარჯის მძლეველ კაცს ნება მიეცა ამ უკანასკნელის ძალისაგან განთავისუფლდეს. ამით, უეჭველია, ცხოვრებაც უნდა გაუადვილდეს, თუ ხერხიანათ ისარგებლა ამ თავისუფლებითა და რიგიანათ წაიყვანა თავისი საქმე. — ასე ფიქრობენ ყველა სწავლული კაცები და ასეც მომხდარა ყველა ქვეყანაში, სადაც კი ბატონ-ყმობას ალაგი ჰქონია. ეს ხომ ასეა, მაგრამ ჩვენ თავს სხვა მდგომარეობაში ვხედავთ, ვხედავთ, რომ ამით მაინც და მაინც ძალიან წინ ვერ წავა ჩვენი ცხოვრება, თუ კიდევ უზრუნველათ ხელმოკრეფილი დავსხდებით; ჩვენი შინაური მდგომარეობა ისეთია, რომ ამნაირს რეფორმაზე ანუ ცხოვრების შეცვლაზე ვერ გავჩერდებით, ამით ვერ დავკმაყოფილდებით, ჩვენ უნდა შრომას და მუშაობას მივყოთ ხელი.

ყველამ კარგათ იცის, რომ მას აქეთ, რაც ჩვენში ბატონ-ყმობა გაჩნდა, მიწა შეიქნა მხოლოდ რომლებისამე საკუთრებათ და დაბალი სუსტი ხალხი ამ პირველების მონებად, — მას აქეთ მამულის პატრონები ყმებისაგანა სცხოვრებდნენ, ამ უკანასკნელების ნაშრომნალეწი იყო იმათი საზრდო; ესენი ამათი ცხელი ოფლით მონაგრულზე ფარფაშობდნენ და ხარობდნენ; ერთი სიტყვით, ბატონები კარგათ სცხოვრებდნენ თუ ავათა,-სულ ყმების ოფლითა. ამნაირს მდგომარეობას ის შედეგი ჰქონდა, რომ მებატონეები მამულს სრულებით ყურს აღარ უგდებდნენ, იმის მოვლისთვის და წარმატებისთვის სრულებით არაფერს არა ზრუნავდნენ, არაფითარს შრომას ისინი თავს არა სწირავდნენ, ქეიფი ჰქონდათ თავიანთ ცხოვრებაში უმთავრეს პრინციპათ; ყოველისფერი უზრუნველათ მოსდიოდათ და ამისთვის თითონაც უზრუნველები იყვნენ. თუ აკეთებდნენ რასმე საქმესა, ეს ომში სიარული იყო; ომში თუ მიდიოდნენ, ესეც იმისთვის, როგორაც მგონია, რომ თავი გამოეჩინათ და ამით ხალხში გულოვნად გამოსულიყვნენ, თავზე უფრო დიდი პატივი დაედოთ, ამის მეტი იმათ სხვა სარგებლობა არა ჰქონიათ რა სახეში. ამას თითონ ბევრი იმათი ომიანობა გვიჩვენებს..... ამ უკანასკნელ დროებში ბევრმა ომი სხვა სამსახურზე გადაცვალა, მაგრამ ამათაც ის გავლენა ჰქონდათ ჩვენ ცხოვრებაზე, როგორიც მეომრებსა. ორივე შემთხვევაში რადგანაც მამულის მოვლას თითონ არა კადრულობდნენ და არც შეეძლოთ, ჩვენ მებატონეებს ჰყვანდათ მოურავეები და იმათგან თხოულობდნენ, რაც შეიძლებოდა, ბევრი ფული და პური ეკრიფათ და ეგზავნათ, რადგანაც ჭამა უნდოდათ. მოურავეებმაც იცოდნენ, როგორ მოქცეულიყვნენ: ყმები მზათ იყვნენ და როგორც კი შეიძლებოდა ტყავს აძრობდნენ, ნახევარი რომ ბატონებისთვის გაეგზავნათ, ნახევარს ჯიბესა ჰკრავდნენ. ყმებიც, რასაკვირველია, ამისთანა მდგომარეობაში მამულს სრულებით ყურს ვეღარ უგდებდნენ და არც იყო შესაძლებელი ეს იმათგანა; სადა ჰქონდათ ან დრო და ან ფული, რომ მამულისთვის მოევლოთ როგორმე და წარმატებაში წაეყვანათ? — ამისთანა საქმეს ცოდნა უნდა, დრო და ფული და ამას ყველაფერს ესენი მებატონეების მოწყალებით მოკლებულნი იყვნენ. საწყალ გლეხკაცს რა ექნა, არ იცოდა, — ერთი მიწა მოელალებოდა მეორეს მოხნავდა, მეორე მოილალებოდა — მესამესა და ამნაირათ დასეირნობდა თავისი თარგამოსული გუთნით აოხრებული მინდვრების ხან თავში და ხან ბოლოში; ამ ნაირის შევიწროების გამოისობით საწყალ გლეხ-კაცს თავის ცხოვრებაში ყოველისფერი შეუცვლელათ, მამაპაპურათ მიჰყვანდა, მხოლოდ იმ გარჩევით კი, რომ შრომა და ხარჯი უმრავლდებოდა და შემოსავალი კი უმცირდებოდა; უმცირდებოდა იმისთვის, რომ მოსავალი გამოჰქონდა და უკან კი აღარას აძლევდა დედამიწასა, ვალს იღებდა დედამიწისაგან და კი აღარ იხდიდა. ამ ნაირი მდგომარეობა, რასაკვირველია, მიწას აოხრებდა, ამისათვისაც ამას გათქმული ხიმიკოსი ლიბიხი „მიწის გაქურდვას და დარბევას“ ეძახის. ვისმე რომ ერთი ორმო პური ჰქონდეს შენახული და ყოველ წელიწადს აქედგან იღებდეს და კი აღარ უმატებდეს, უეჭველია, როდისმე დაცარიელდება ეს ორმო და თავის პატრონს ცარიელზე დასვამს. ეგრეთსავე ოინს გვიზამს ჩვენი დედამიწაც ჩვენი უხეირო და უგუნური მოვლისათვის; ეხლავე სჩანს, რომ ჩვენ მოსავალს თანდათან აკლდება, მიწა ილალება; ადრე რომელიც სამი ოთხი დღის მოსავლით იკვებებოდა, ეხლა იმას ვერც ათი დღისა ჰყოფნის. ეს იმას გვიჩვენებს, რომ ჩვენ მიწას თან-და-თან პოხიერება აკლდება. ამისათვის მოვა ის დრო, როცა ის ამოდენასაც აღარ მოგვცემს, თუნდ ათი დღის მაგიერათ ოცი დღისაც მოეხნათ. უეჭველათ სიღარიბეა ჩვენი ცხოვრების და მუშაობის შედეგი. —

ამით არა თავდება ჩვენი სიღარიბე და ჩვენი ცხოვრების ურიგობა: ჩვენში ყველა მიწის მომუშავე, ბატონია თუ ყმა, სხვის მონა არის, ყველა იმას აწევს კისერზე და იმის მონაგრულითა სცხოვრობს და უკან კი აღარას აძლევს ისეთსა, რომელიც გააკეთებდეს და გაამშვენიერებდეს იმის ცხოვრებასა, რომელიც დაჰფარავდეს იმის შრომასა და წვალებასა. დაიწყეთ იმის უფროსებიდგან და ჩამოდით ვაჭრებამდის — ყველანი საწყალი მიწის მომუშავე კაცის ბარგები არიან, ეს უკანასკნელი ზიდავს და ამშვენიერებს იმათ ცხოვრებასა და თითონ კი ხანდახან ხმელა პურიც აკლია, რომ ჯაფისაგან მოღალული და გამოცარიელებული მუცელი ამოივსოს. აბა შეხედეთ ვაჭრებსა, ამ მუქთა-ჭამია და მიწის მომუშავე კაცის ტვინის და ქონების მწოველებს, რა ნაირათ შექოქმახებულან და თითქო, ერთიერთმანეთს ზედ შესხდომიან ყოველ ჩვენ ქალაქებში. ეს ამოდენა სიმრავლე რას აძლევს იმ საწყალს პურის, ღვინის, ხორცის და სხვა ამისთანა რამეების მაგივრათ? — წელიწადში ერთ ნაგლეჯ ჩითსა ტანზე მისაფარებლათ...ბევრია, რომლებიც ამასაც მოკლებულნი არიან. ამ ვაჭრების მოწყალებით ისინი იმ სიკეთეს არიან მოკლებულნი, რომელიც ცხელის ოფლით აქეთ მონაგრული. ვაჭრის უმთავრესი პრინციპი მოტყუებაა: ყიდულობს რასმე —ატყუილებს, იაფათ ართმევს;

სახელზედ, მაგრამ არა კანონიერს წესზედ შესრულებულის აქტითა, მაშინ გლეხის თხოვნითა გარჩევა საქმისა და დამტკიცება იმაზედ სადავო ქონებისა, აგრეთვე დაწესება პასუხის მგებლობისა, თუ რომ მებატონეს ეს გვარი მამული სხვაზედ გაუცია ანუ დაუგირავებია, მოხდებიან იმ წესით, რომელიც არის დადგინებული მუხლთა შინა 2-დგან 9-დინ კანონთა, ზედ მიმატებულთა 32-ის მუხლისადმი საზოგადოს გლეხთათვს წეს-დებისა 19-ს თებერვლის 1861 წლისა.

შენიშვნა I. ერთისა და იმავ მებატონის ყმებისაგან ერთმანერთში დათმობით გარდაცემა უძრავთა ქონებათა, რომელიც მებატონეს ამ გლეხებისათვის მიუცია სარგებლობად, შეადგენს რა მხოლოდ სარგებლობის უფლების გარდაცემას, არა შემოვალს ამ მუხლში დაწესებულის კანონის ძალის ქვეშ.

შენიშვნა 2. უკეთუ წარმოჰსდგნენ საჩივარნი იმ სასამართლოს განაჩენსა ზედა, რომელიც იქნება თანა-მონაცვლე გუბერსკის საგლეხო საქმეთა გამო პრისუტსვიისა, მაშინ დაბოლოებითი ამ საჩივართ გარდაწყვეტა მიენდობის კავკასიის ნამესტნიკსა.

**II. გლეხთათვს, რომელნიც არიან მებატონის ოჯახში მოსამსახურედ ანუ მოხელედ, და ეგრეთვე რომელნიც სახლობენ ხიზნად (მინდობილად) სხვა მებატონის ანუ უწყების მიწაზედ, ანუ ჰსცხოვრებენ ქალაქთა და სავაჭრო სოფელთა შინა.**

5. წეს-დება 19-ის თებერვლის 1861 წლისა დაბინავებისათვს შინა-მსახურთა, გამოსულთა ბატონყმობიდგან, განვრცელდება სამეგოელოში მოჯალაბეზედ, აგრეთვე სხვათა წოდებათა გლეხთა ზედა, რომელნიც არიან რა მებატონესთან ოჯახში მსახურად ანუ სხვა რამმე მოხელედ, არა აქვსთ არა ვითარი მიჩენილი მიწა ანუ აქვსთ მარტო ეზო ანუ სამოსახლო.

შენიშვნა. წეს-დება 19-ის თებერვლის 1861 წლისა შინა-მსახურთათვის არა შეეხება იმ მოჯალაბეთა, რომელთაცა აქვსთ მიჩენილი მიწა, და არცა გლეხთა, რომელნიც ეკუთვნიან სხვა ხარისხის გლეხთა (ესე იგი აზატთა და მებეგრეთა), თუნდ რომ ეს გლეხნი იმყოფებოდნენ მებატონის ოჯახში მოსამსახურედ გინა მოხელედ; გლეხნი ესე, თანახმად მუხლისა 139 (შენიშვნა I) ადგილობითის ტფილისის გუბერნიისათვის წეს-დებისა, უნდა ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობათა ორის წლის განმავალობაში დღიდგან ამ დამატებითთ კანონთ დამტკიცებისა.

6. მოვალეობანი ფულად გარდასახადის ძლევისა გამო, ორის წლის ვადის განმავალობაში, დაწესებული 19-ის თებერვლის 1861 წლის კანონებითა შინა-მსახურთათვის, განვრცელდებიან იმ გლეხთაცა ზედა, რომელნიცა, დგანან რა ხიზნად (მინდობილად) მიწასა ზედა სხვათა მებატონეთა ანუ უწყებათა, ანუ რომელნიცა ჰსცხოვრებენ რა ქალაქთა და სავაჭრო სოფელთა შინა, იხდიან ეხლაცა ამ გვარ გარდასახადსა. გარდასახადი, რომელსაც ეს გლეხები იხდიან ეხლა, არ უნდა იყოს იმაზედ მომატებული, რაც ამ კანონთ დამტკიცებამდინ იმათ უძლევიათ. ყოველს შემთხვევაში, ფულის გარდასახადი არ უნდა აღემატებოდეს ოც და ათ მანეთს წელიწადში თვითოეულს მოზდილ მამაკაცზედ.

# პოლიტიკა.

ფრანცია. სჯულის-დამდების კორპუსის ყრილობა 15 თებერვალს.

თხუთმეტს თებერვალს რომ ყრილობა იყო, როგორც იქიდამ სჩანს, უნდა ვიფიქროთ, რომ აწინდელი სესსია იქნება ძალიან მღელვარე. ამ ყრილობაში მოხდა შემდეგი ამბავი: როდესაც სჯულის დამდების კორპუსის პრეზიდენტმა ყრილობის დაწყებაზედ სიტყვა წარმოსთქვა, იმას დიდი ყვირილით გააწყვეტინეს ლაპარაკი. ამისთანა შემთხვევა აქამდის არ მომხდარა. პრეზიდენტმა გრაფმა ვალევსკიმ მოიხსენა ადრესის გაუქმება, ამ დროს უფ. გლე-ბიზუენმა გააწყვეტინა იმას ლაპარაკი ამ სიტყვებით: ადრესი არ უნდა გაუქმებულიყო. (ხმაურობაა; ყვირიან: სიტყვას ნუ აწყვეტინებთ).

გრაფი ვალევსკი. უნდა გავტყდეთ, რომ, როცა ბიუჯეტზედ ვსჯიდით, ადრესზედ ბაასი მაშინაცკი ასტყდებოდა ხოლმე და ამის გამო ის განსაკუთრებულს სარგებლობას არ გვაძლევდა.

უ. გლე-ბიზუენი. ადრესის გაუქმება კრების ღირსებას ამცირებს (ყვირილით იძახიან: სიტყვას ნუ აწყვეტინებთ, ნუ აწყვეტინებთ! რამდენიმე ყვირის: წესიერება მოახდინეთ!.)

ბელმონტე. თქვენ ნება არა გაქვთ, რომ ორატორს სიტყვა გააწყვეტინოთ.

ვიკონტ კლანი. თქვენ რიგს მოუცადეთ, აი ტრიბუნა აქ დგას; თქვენ შეგიძლიანთ ტრიბუნიდგან ილაპარაკოთ.

უ. გლე-ბიზუენი. რაც უნდა ითქვას, ეს მაინც მართალია, რომ ვინც ადრესს შესცვლის, ის კრების ღირსებას ამცირებს. (ყვირილია).

გრაფი ვალევსკი. უ. გლე-ბიზუენო, თქვენ ერთობ ჩქარობთ ორატორებს სიტყვა გააწყვეტინოთ. ეს თქვენ ხშირად გჩვევიათ. სიტყვის თქმა დამაცალეთ.

უ. ვალევსკი ამბობს, რომ ახალი სისტემით უფრო კარგათ და ღრმათ შეიძლება განისაჯოს ყველა უაღრესი საქმეები.—

გლე-ბიზუენი ამაზედ აი რას ეუბნება: ვნახოთ, თუ აგრე იქნება.

—უფალი ვანდალის ცირკულიარის შესახებ ფრანცუზული გაზეთი Opinion Nationale აი რას ამბობს: ცირკულიარში ნაბრძანებია, რომ თვალ-ყური ადევნონ დაბეჭდილ კანვერტებს, რომ აღმოაჩინონ ერთი სასაშიშრო წერილი. ამსახით ჩვენ ერთ დროს ორი ამბავი შევიტყვეთ; ერთი რომ მართებლობას, როგორც სჩანს, ეშინიან შამბორისა, რომელმაც გაგზავნა ფრანციაში თავის ხელით ნაწერი წიგნები გენერლის სენ-პრიესტის სახელზედ, რადგანაც მმართებლობამ ზემოხსენებულის წიგნისთვის დაარღვია უძვირფასესი სიმართლე საზოგადოებისა; მეორე, რომ ეშმაკური შავი კაბინეტი არამც თუ ისევ აღადგინეს, არამედ ის კიდეც ცხადათ დაუსახავს მმართებლობას იმისთანა საშუალებათ, რომლითაც ის აღასრულებს თავის სხვა და სხვა განზრახვას. თუ რომ ჩვენ უბრალო წიგნის გაგზავნაც არ შეგვეძლება მმართებლობის გაუჩხრეკელად, მაშ ამას მაინც რაღათ გვეუბნებიან, რომ თავის უფლებას ვავრცელებთო და ამით გვინდავო დავაგვირგვინოთ სახელმწიფო შენობა.

ანგლია. Times-ში სწერენ 21 თებერვლიდამ; „გუშინ საღამოს ლონდონში გავარდა ხმა, რომ ფენიელები დაცემას უპირობენ ჩესტერის ციხეს; ეს ფენიელები უმეტესად ლივერპულიდამ არიანო. მოხსენებული ხმა უსაფუძვლო არ არის, როგორცა სჩანს შემდეგი ტელეგრაფით მიღებულის ცნობებიდამ.

ჩესტერი, ორშაბათი, საღამოს 9 საათზედ. „დღეს შუადღის შემდეგ რამდენიმე ასი ყმაწვილი კაცი, 18 დამ 25 წლოვანები, რომლებიც, როგორც სჩანდა, ეკუთვნოდნენ მიწის-შემმუშავებელს და მუშების წოდებას, შევიდნენ ქალაქში და გაიფანტნენ აქა-იქ. იმათი რიცხვი იყო 5-ასიდამ 8-ასამდე. „კორრესპონდენტი ამბობს, რომ არც ერთმა იმათთაგანმა გადაწყვეტილი და ცხადი პასუხი არ მისცა. მაგრამ ეს კი უეჭველია, რომ ამათი ერთ დროს მოსვლა ჩესტერში ლივერპულიდამ, პრესტონიდამ, მანჩესტერიდამ და ბალლიდამ მოხდა წინათ მოფიქრებულის განზრახვით. ქალაქის უფლებანი შეიყარნენ რჩევაში, რომლის თავს-მჯდომარეთაც იყო მერი; ეს რჩევა მოხდა საღამოს 8 საათზედ. ამან გადასწყვიტა, რომ მთელი ღამე არ დაიშალოს და ყოველს შემთხვევისთვის გამზადებული იყოს. პოლიცია და ვოლონტერები შეიკრიბნენ უმთავრესს კვარტალებში და მზათ იყვნენ ყოველის საჭირო ღონისძიების მოსახმარებლათ. ვერცხლის და ოქროს აბვეჯოულობის მოვაჭრეებს გამოუცხადეს, რომ იმათ ცოტა ადრე დაჰკეტონ თავისი მაღაზიები; მართლაც, ბევრნი ამათგანნი ასე მოიქცნენ.

საზოგადო აზრი ასეთი იყო, რომ ქალაქ-

---

ჰყიდის რასმე—ატყუილებს, ძვირათ აძლევს. ეს არის იმისი ხელობა. მომყვანს და გაკეთებულს სცარცვავს და იმათ ნაშრომზე თითონა ხარობს. რას აძლევენ ჩვენი მსწავლულები?—ცხადია, რომ სრულებით არაფერს, რადგანაც იმათი მყოფობა სრულებით არ აადვილებს და არ აკეთებს იმათ ცხოვრებასა; ესენიც სჭამენ ულმერთო მუშაობით მონაგრულ პურსა და იმის სიკეთისთვის კი სრულებით არასა ცდილობენ....... რას აძლევენ ახალგაზდა მოსწავლენი.—სწავლის დროს ხალხის ოფლით და ნაწვავ-ნადაგით იზრდებიან და ბოლოსაც მისივე საპალნეები ხდებიან, რადგანაც არავითარი მატერიალური სარგებლობის მოტანა იმათ არ შეუძლიანთ. აი ახლანდელი მდგომარეობა მიწის მომუშავე კაცისა. ეს როგორც ზემოთაცა ვსთქვი, ყველა იმას აწევს კისერზე, იმისი შრომით ივსება და თითონ კი არავითარს სარგებლობას არ აძლევს, როგორც უნდა, ისე არხეინათ დასეირნობს იმის გაზელილ ზურგზე. ამისთანა მდგომარეობა უეჭველათ სიღარიბეს წარმოშობს.....

ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ჩვენ ჩვენი შეუძლებლობის, ანუ სწორეთ ვსთქვათ, უთავბოლოობის და დაუდევრობის გამოისობით ჩვენ ქვეყანაში ერთი ფაბრიკა არა გვაქვს, სადაც შეიძლებოდეს ჩვენი მიწის და შრომის მოსავალი სასარგებლოთ და სახმარათ გადაკეთდეს. აძის გამო ბამბა მოგვდის, ვაჭრებს სხვაგან მიაქვთ, მატყლი ეგრეთვე, აბრეშუმი ეგრეთვე, ენდრო და სხვა მრავალი, რასაც ჩვენი ქვეყანა გვაძლევს, იქ სახმარათ აქცევს და უკან იმისი ნახევარიც აღარ გამოაქვს, მაგრამ ათი იმ ფასათ კი. ეს, რასაკვირველია, ჩვენთვის მავნებელია პირველათ იმითი, რომ ჩვენ გაყიდულ ნივთს ჩვენზედვე ჰყიდიან ერთი ოცათ და უფრო მეტათ და ამით ფულებზე ცარიელებსა გვსომენ, მეორეთ იმითი, რომ ჩვენ მიწას აკლდება ის პოხიერება და მცენარეებისთვის აღმოსაცენებლათ ნივთიერების სასარგებლო ნაწილები, რომლებიც სხვის ფაბრიკებში რჩება და იმათ მიწას აპატივებს. ამით, კიდევ გავიმეორებ, ჩვენ ჯიბესაც და მიწასაც აკლდება, თანდათან ვღარიბდებით......... ყველგან ესე მომხდარა, სადაც ფაბრიკები არა ყოფილა და სხვას დაახლოვებია; ვისაც მანუფაკტურული მუშაობა დაწესებული და გაჩაღებული არა აქვს, იმას სხვა მხარესთან ვაჭრობა, უეჭველათ, ძირს დასცემს და გააღარიბებს. აი ამაზე რას ამბობს ამერიკელი მწერალი კერი: „ანგლიელებმა ინდოეთში რკინის გზა გააკეთეს და ამით დაიახლოვეს, იმის მეურნეობის სასარგებლოთ კი არა, იმის სავნებელათ. ანგლიელების ჰაზრი ის იყო რკინის გზების გაკეთების დროს, რომ იმ ქვეყნის მოსავლის გამოტანა გაადვილონ და ვაჭრები გააძლიერონ, რამაც მიწა საშინლად მოღალა და შრომა დაამონავა, ამისათვის რომ მუშა ხალხი მარტოკა მიწას დააწვა და ფაბრიკული მუშაობა სრულებით დაეცა. „საზოგადოთ უფაბრიკო ქვეყანა რომ ღარიბია, ამას ფაქტებით გვიმტკიცებს იგივე მწერალი. ის ამბობს, რომ თუ ხალხს თავის ქვეყანაში მანუფაკტურული მუშაობა არა აქვს და ესენი სხვისაგან მოაქვს, მაშინ ღარიბია და თუ თავის ქვეყანაში გაიჩენს, მაშინ წინწამოიწევს; აი ის რას ამბობს: „თუ საფიქრო და სართავი ადგილები გუთანზე და ფარცხზე ახლო არ არიან, მაშინ რაც უნდა ბევრი იშრომოს ხალხმა მაინც ვერ გამდიდრდება; საჭმლის მჭამელი გამკეთებელზე ანუ მომყვანზე ახლო უნდა იყოს. ეს იმისთვის, რომ ამ უკანასკნელს შეეძლოს იმ პირობების ასრულება, რა პირობებითაც ის იმ დიდ დედა-ბანკიდგან, დედამიწისაგან სესხულობს,—პირობებისა, რომლებიც იმაში მდგომარეობენ, რომ მოვალე კაცმა ვალი ისევ იმ ადგილს მიუბრუნოს, საიდამაც წამოიღო.—

„ყველა ქვეყანაში, სადაც კი ეს პირობები ასსრულებულა, იქ ჩვენ ვხედავთ, რომ ნივთიერების მოძრაობა ძლიერდება, საჭმლის მოსავალი მრავლდება, ამ მოძრაობასთან საჭმელიც თანდათან კეთდება. პლანტაგენეტის და ლანკასტერის დროს, როცა ანგლიაში ორ მილიონ მცხოვრებზე მეტი ძლივს იყო, ერთი აკრი მიწისა 6—ბუშილს აძლევდა და, თუმცა ძალიან ცოტა მცხოვრებნი იყვნენ, იქ მაინც შიმშილი ხშირი იყო. ეხლა კი 18 მილ. მცხოვრებთ უჭირავთ ისევ ის ადგილი და საჭმელს კი უფრო კარგსაც და უფრო ბლომათაც იღებენ.

„ფრანციაშიაც სწორეთ ამასა ვხედავთ. 1760 წელ. 21 მილ. მცხოვრებნი იყვნენ და წლიური მოსავალი 94,500,000 ღექტოლიტრამდის ადიოდა; 1840 წელს იქაური მცხოვრებლების რიცხვი 34 მილ. ავიდა და პურის მოსავალიც 182,516,000 ღექტლ; რაც შეადგენს ყოველს კაცზე 20% წინაწინდელზე მეტს და ამასთან თითონ ხორბალიც გაუკეთესდა, თუმცა მიწას მაგდენი რამ არა მომატებია რა, მაგრამ პურთან იმდენი კართოფილი და სხვა მწვანილეული საჭმელი მოდიოდა, რომ 18 წლის წინათ მოსავალს მარტო ეს შეეთანასწორებოდა. საზოგადოთ მოსავალმა სამწილათ იმატა და ხალხი კი 60% გამრავლდა. ფრანციაში გლეხი მიწას თავის ვალს აძლევს, უწინ კი, როცა მანუფაკტურული მუშაობა ძლივს არსებობდა, ამ ქვეყანაში შიმშილი ისე ხშირი და ძლიერი იყო, რომ ხალხს ბევრსა სწყვეტავდა. ამასვე ვხედავთ ბელგიაში გერმანიაში და სხვა ქვეყნებში. ამისთანავე ეკონომიურ კანონქვეშა ვართ ჩვენცა. თუ მანუფაკტურულ მუშაობას გავაჩენთ ჩვენში, წინ წავიწევთ, თუ არა და ისევ სიღარიბეში ვიქნებით და თანდათან უკანაც წავალთ.—

კიდევ ბევრი რამ ნაკლულევანება გვაქვს, რომლებიც სიღარიბეში გვიპყრობს. აი თუნდ ესა, რომ ჩვენში მისასვლელ—მოსასვლელი გზები ცუდი და საძაგლებია..... ერთი დღის სავალი რომ იყოს გზების უქონელობის გამო სამიდღის სავლათა ხდება და ამით ბევრს შრომას და დროსა თხოულობს იმათზე მავალებისაგან. რა ქნას აქ მოსავლის პატრონმა, რომ ვისაც საჭმელი უჭირს, იმისთვის ვერ მიუწოდებია. ამ უგზოობის გამოისობით მოსავლის პატრონს შინ მოსავალი უფუჭდება და ვისაც მოსავალი უჭირს, ხელოსან-კაცს კი ლამის შიმშილი აწუხებს. შინაგანი გზები პირველი საჭიროება არის აღებ-მიცემის გავრცელებისათვის.....

აბა ახლა დავხედოთ ჩვენ მიწებს, ჩვენ მინდვრებს: ისეთი სოფელი არ არის, სადაც რამდენიმე დღიური მიწა უსაქმოთ და უსარგებლოთ არ იყვეს გაშვებული; ზოგგან ნიაღვრის გუბეები სდგას, ზოგგან სანიაღვრო ხევები მიდის და წვიმიანობის დროს მოსავალს არ ახეირებს, ზოგალაგას უწყლო მინდვრებია და ამისთვის არა მოდის რა, ზოგგან ქა-

ში ფენიელები შემოვიდნენო იმ განზრახვით, რომ ჩესტერის ციხიდამ თოფ-იარაღი გამოზიდონ. მთელი ქალაქი დიდათ აღელვებულია. მანჩესტერიდამ ნაშუადღევს მოვიდა სალდათების რაზმი.

**ლივერპული**, ორშაბათს შუაღამეს. დღეს ნაშუადღევს აქ გავარდა ხმა, რომ ჩესტერში ფენიელების მოძრაობა აღმოჩნდა, მაგრამ ეს ხმა არავინ დაიჯერა. როგორც შევნიშნეთ, აქედამ ჩესტერში გამგზავრდა რკინის გზით 50 ან 60 კაცი. მაიორმა გრეიგმა იმ წამსვე ტელეგრაფით აცნობა ეს ჩესტერელებს და ყოველი ღონისძიება მიიღო, რომ რაიმე არეულობა არ მომხდარიყო. ამბობენ, რომ ქალაქის მერს ძალიან სწადდა გამოეკითხა ამ კაცებისთვის, თუ რისთვის მოვიდნენ ისინი ჩესტერში, მაგრამ იმათგან გარკვეული პასუხი არ მიიღო. 11 საათზედ ორი როტა 54 პოლკისა და ვოლონტერები დადგნენ ციხეში. ბრძანება გასცეს, რომ ეს ვოლონტერები მაშინვე შეიარაღონ, რასწამ საჭიროება აღმოჩნდება. პირველს საათზედ ამ რაზმს კიდევ მიემატა მე 54 პოლკის როტა, რომელიც მანჩესტერიდამ მოვიდა. ყველა მაღაზინები დაიკეტა და ქალაქს მუდამ მცველები უვლიდნენ. ჩესტერიდამ ტელეკრაფით მოდის ცნობა, რომ ამ ქალაქში ახალ მოსულები რიცხვით 8-ასამდე იქნება. ამბობენ, რომ ერთი შეიარაღებული გემი გამგზავრდა მერსიდამ მოლიგიდში

**სამშაბათი**, ჩესტერიდამ არაფერი ცნობა არ მოსულა. ლივერპულში მშვიდობიანობაა, მაგრამ მეპოლიციენი კარგა ბევრნი არიან და ყოველის შემთხვევისათვის მზათ არიან. გენერალ-ქვარტირმეისტრის ბრძანებით დღეს, დილის სამსაათის ნახევარზედ, გაიგზავნა ჩესტერში შოტლანდიის მსროლელების ბატალიონი; ბატალიონს წინამძღვრობს კაპიტანი პიპსი; ეს რაზმი, რომელსაც შეადგენს ასი კაცი, გამგზავრდა წმ. გიორგის კაზარმებიდამ 27-ის კარეტით.

დუბლინიდამ გვაცნობებენ, 12 თებერვალს, რომ პოლიციამ იქ დაიჭირა 66 კაცი, რომლებიც ლივერპულიდამ და გოლვიდამ მოვიდნენ. ათას ხუთასი ფენიელი შევიდა ჩესტერში. დუბლინში კი მშვიდობიანობაა.

**იტალია.** სჯულის პროექტი ეკკლესიის თავისუფლებაზედ იტალიაში. გადმოვწერთ ზემოხსენებულის სჯულის უმთავრესს დადებულებებს.

**პირველი განყოფილება** კათოლიკის ეკკლესიის თავისუფლებაზედ. 1 **მუხლი.** ამიერიდგან იტალიის საკაროლოში სახელმწიფო ვერ გაერევა ქათოლიკის ეკკლესიის სამღვთო ვალის ასრულებაში, რელიგიურის დაწესებულებაების შინა-გამგეობაში და სასულიერო უფლების მიმართობაში თავისს ხელქვეითს ორდენებთან. 2 **მუხლი.** წარდგენა და ადგილზედ განწესება ეპისკოპოსებისა, დაფიცება და სხვა ამ გვარი წესი, რომელიც ჩვეულებით და კონკორდატით დაწესებულა, ამიერითგან უნდა მოიშალოს.

3 **მუხლი.** ყოველგვარს დაწესებულებას კათოლიკის ეკკლესიისას აღარ ექნება კანონიერი ძალა სახელმწიფოში; ისინი შეირიცხებიან ეკკლესიის განკერძოვებულ დაწესებულებათ, რომელსაც ექნება ძალა მხოლოდ რელიგიურს საქმეებში. სხვა სახორციელო საქმეებში კი სასულიერო წოდება უნდა მიიქცეს სამოქალაქო მთავრობასთან და სამსჯავროსთან.

4 **მუხლი.** ქათოლიკის ეკკლესია უნდა ცხოვრებდეს შესაწირებით, რომლებსაც კეთილის ნებით შეიტანენ ეკკლესიის წევრნი; ის უნდა რჩებოდეს იმ ქონებიდგან, რომელიც ახლა ხელში უჭირავს და რომელსაც აწ შეიძინებს იმ სჯულის-დების თანახმად, რომელიც არსებს სახელმწიფოში ამ საგანზედ. აქამდის რაც შემოსავალი ჰქონდა ეკკლესიას სახელმწიფოდგან, მაზრებიდგან, თემებიდგან და კერძო პირებიდგან, ამიერიდგან იმას აღარ ექნება კანონიერი ძალა, გარდა იმისა, რომელიც განსაკუთრებულის პირობით და თანხმობით კიდევ იწარმოებს.

5 **მუხლი.** ამ ჟამად რაც ქონება ეკუთვნის რელიგიურს დაწესებულებაებს და ან რასაც ის შემდეგ შეიძენეს, იმათ ეკკლესიას ვერავინ წაართმევს და თუ რომელიმე რელიგიური საზოგადოება მოისპო ანუ გაუქმდა, მაშინ იმისი ქონება გაუნაწილდება სხვა სასულიერო საზოგადოებებს. 6 **მუხლი.** ქათოლიკის ეკკლესია უძრავს ქონებას ვერ იქონიებს, თუ რომ ის განკერძოვებული შემთხვევა არ მოხდა, რომელიც სჯულის 9 მუხლშია მოხსენებული. 18 **მუხლი.** რაც ახლა უძრავი ქონება აქვს კათოლიკის ეკკლესიას, ის ათ წელიწადს უნდა აქციონ ეპისკოპოსებმა მოძრავ ქონებათ; უნდა მისცენ სახელმწიფოს 600 მილიონი ფრანკი, იმ პირობით რომ ყოველ ნახევარ წლობით შეიტანონ ხოლმე 50 მილიონი. 19 **მუხლი.** თვითოეულმა ეპისკოპოსმა უნდა იზრუნოს, რომ, რაც უძრავი სასულიერო ქონებაა იმის ეპარქიაში, ყველა გაცვალოს; ეგრეთვე უნდა მოექცეს იმ ქონებასაც, რომელიც საკუთრად იმას მიენდობა სჯულისამებრ. იმაზედ იქნება მინდობილი განსაზღვრული ვალის გადახდა. 20 **მუხლი.** მმართებლობა მოიპოვებს საგირაო დოკუმენტს სასულიერო წოდებისგან, რომ იმედი ექმნეს განსაღვრულის ფულის გადახდაზედ.

III **განყოფილება.** 22 **მუხლი.** თუ უფრო ბევრმა ნაწილმა ეპისკოპოსებისამ თავს არ იდვა ყველა ზემოხსენებული ვალდებულება, იმ შემთხვევაში თვითონ მმართებლობა შეუდგება ეკკლესიის ქონების გასყიდვას.—.

**საბერძნეთი.** ბერძნულს ტრიესტის გაზეთში „მლიო“ აი რა არის დაბეჭდილი.

ტრიესტის ბერძნებმა რომ ტელეგრამმით მადლობა გაუგზავნეს უ. ბელეს, სამწუხაროდ ის მადლობა გაზეთს „ნორდ“ს, როგორც რიგი იყო, ისე ვერ დაუფასებია. „ნორდ“ი გაკვირვებულია, რომ ტრიესტელმა ბერძნებმა რათ გამოუცხადესო თავისი მადლობა იმაზედ, რაც ხელოვნებითი მეცნიერების აკადემიის სეკრეტარმა საბერძნეთზედ დასწერაო. „ნორდ“ის რედაქცია განსაკუთრებით გამოსწერს უ. ბელის თხზულებიდგან შემდეგს ნაწყვეტსა: „ბერძნებს მარტო თავიანთი თავი უყვართ. იმათი პატრიოტობა ახლაც აგრეთივე გულჩახვეულია, როგორც ძველათ ყოფილა. იმათ ჰგონიათ, თითქო მთელი ცას ქვეშეთი იმათკენ მიისწრაფოდეს; თითქო ყველას თვალ-ყური ეჭიროს იმათ საშშობლო ქვეყნისკენ. ევროპაში ჩხუბი ან რევოლუცია რომ სადმე გაჩნდეს, ბერძნებს ჰგონიათ, პირველათ ჩვენ საქმეზედ იქნებაო ხსენება:—რას მოიგებს, ან რა დაემართებო ბერძნების მდგომარეობას? რადგანაც იმათ ყოველს მოქმედებაში წინ-მიუძღვით თავისი სარგებლობა, ამისთვის ბერძნები თავს არიდებენ მადლობას, რადგანაც ეს იმათთვის შემავიწროებელია, და სიმძულვარეს, რადგანაც ეს იმათთვის მავნებელია.

„ნორდი“ უჩივის ტრიესტელს ბერძნებს, იმისთვის რომ იმათ მადლობა უძღვნეს უ. ბელეს, რომელმანაც ბერძნებს უმადურობა შეამჩნია და საბერძნეთის და ბერძნების კეთილის მყოფელს რუსეთსაც ცილი შესწამა. პატივცემულს „ნორდ“ის რედაქციას უნდა განვუცხადოთ, რომ ბერძნებს თავმოყვარეობა ჯერ კიდევ იმდენათ გულში არ შესვლიათ, რომ იმისი მადლობელნი არ იყვნენ, ვინც გულახდით და კეთილი განზრახვით გვიჩვენებს ჩვენს ნაკლულევანებას.—ყოველს ხალხს კარგი მხარეც მოეძევება და ცუდიცა; ამ მხარეების სიმრავალგვარე შეადგენს თითოეულის ხალხის საკუთარს სახეს. ჩვენ მაინც უნდა შევნიშნოთ უფ. ბელეს, რომ იმან, ცოტა არ იყოს, ბერძნები შეურაცხჰყო, რადგანაც იმათ უმადურობა დასწამა; თუმცა ბერძნებს ბევრი ნაკლულევანება სჭირთ, მაგრამ ისინი არაოდეს უმადურნი არ ყოფილან თავიანთ კეთილმყოფელებზედ.

ბერძნების მადლიერობას განა ყველაზედ უფრო ის არ ამტკიცებს, რომ ბერძნებმა დაუყოვნებლივ მადლობა შესწირეს თვით უფ. ბელეს ყველაფერზედ, რაც ამ გულსმოდგინე მომხრეს ჩვენის ტომისას დაეწერა. გასაშტერებელმა შეუწყნარებლობამ ფრანციის მმართებლობისამ ასეთ რიგათ შეაწუხა მთელი საბერძნეთის ხალხი, რომ მარტო მჭევრმეტყველი შუამავლობაც კი იქმნებოდა იმისთვის სანუგეშო. ჩვენთვის ის კი არ არის გულსატკენი, რომ ფრანციის მმართებლობა მთელი თავის დიპლომატიურის ძლიერებით ეწინააღ-

---

ობიანია, ან ძეძვით და ეკლნარით არის მოდებული და მიწის შემუშავებას უშლის. ეს, რასაკვირველია, კარგი არ არის, რადგანაც მამული გვაქვს და კი ვერ მოგვიხმარებია ჩვენი გაუსჯელობის გამო. ვინ ჩამოსთვლის კიდევ რამდენი, რამდენი რამ ურიგობაა ჩვენ ქვეყანაში, ჩვენ ცხოვრებაში!—

აი, მკითხველო, როგორცა ხედავთ ბევრი ნაკლულევანება გვაქვს, რომლებიც გვიშლიან ჩვენ წინწასვლასა, ღონეზე მოსვლასა. ამას ყველაფერს უნდა მოუხერხოთ რამე, თუ ჩვენი თავისთვის სიკეთე გვინდა, უნდა ვეცადნეთ ამ მავნებელი გარემოების და მდგომარეობის დასამარცხებლათ, უნდა ვიფიქროთ რამე ამაზე.

მაგრამ ჩვენ სამწუხაროთ ამ მდგომარეობას ჩვენში ბევრნი გულგრილათ უყურებენ; ჩვენში ბევრნი იმასა ფიქრობენ, რომ ის ყველაფერი კარგიაო, რაც დიდიხანია არსებობს და რაზედაც არიან დამყარებულნი რამდენიმე საუკუნე, არ უნდათ მოშორდნენ იმ ჰაზრსა, რომ რაც ყოფილა და არსებობს იმაში ნაკლულევანება არ იქნებაო, რომ ის ყოველის ფერი გონივრული და ჯეროვანი არისო; ეშინიანთ თქვან ან გააკეთონ რამე წინააღმდეგი ეხლანდელი ცხოვრების დაწყობილებისა ეს უმეცრების და უძლობის ნიშანია და არც შეშვენის კაცის ცხოვრებასა, ცხოვრება შეჩერებას და შეგუბებას არ ითმენს; კაცს აქვს ნიჭი წინ წასვლისა და წარმატებისა; ისტორია გვიჩვენებს, რომ კაცობრიობა წინ წასულა ყოველთვის თავისი გარემოების გარჩევით, მასში სიბოროტების პოვნით და უარის ყოფით. ამისთვის კაცი დანდობილი არ უნდა იყვეს თავის ცხოვრებაზე და გარემოებაზე—გარემოების მტრათ უნდა შეიქნას. უამისოთ ის პირუტყვია—ერთ კვალზე სიარული პირუტყვების საქმეა. მართალია არიან ისეთნიც, რომლებსაც კარგათ ესმით თავიანთი გარემოება, სწუხან ამაზე, მაგრამ მაინც კიდევ ისე გულგრილათ შეჰყურებენ, თითქო სიბოროტე თავისთავათ მოშორდებოდესთ და იმათგან ამის დასამარცხებლათ არავითარს ღონისძიებას არ მოითხოვდეს. დაუბრუნდეთ კიდევ ჩვენ მდგომარეობასა. ჩვენ საზოგადოთ ღარიბები ვართ და უფრო თანდათან ვღარიბდებით. ამას ბევრი ჩვენგანი ხედავს (ამასაც რომ არ ხედავდეს რაღა!) და თანაც ამბობს: „თვალი დაუდგა სიღარიბესაო, ღარიბი რომ არ ვიყო, ამასა და ამას გავაკეთებდიო“,—იტყვის ამასა ჩვენი ქართველი და თანაც დადინჯდება, თითქო ამით ყოველის ფერი გაარიგა, რაც კი მოითხოვებოდა ამ სიღარიბისაგან გამოსვლისათვის; ეს იყო იმისი ახსარება და ამით იმედი აქვს, რომ ამას შეისმენს ვინმე, გარდამოუვლენს შეძლებას და სიმდიდრესა. მაგრამ დრო მიდის და ჩვენ კი ჩვენი მდგომარეობით და ახსარებით ისევ ისეთები ვართ, ცვლილება არა ხდება რა ჩვენში.—

(შემდეგი იქნება.)

---

## საკვირველი ამბავი.

(შილერსლებენისებური)

მერთხელ ერთს ქართველს კაცსა
შიშით გომოელვიძა.

საკვირველიც არ არის—
მას ცუდი რამ ესიზმრა.

მის დღეში არ უგრძვნია
ამ ვაჟკაცს შიშის ზარი,

მაგრამ ამ სიზმარმა კი
დაუკარგა დავთარი.

ნეტა რა მოელანდა
და რამ დაუფთხო ძილი?

ანუ რამ გაუხეთქა
ასე უეცრათ გული?

რა ნახა, რა ეჩვენა?
შიმშილი, თუ წყურვილი?

თუ ლეკის შემოსევა,
და სისხლის ნიაღვარი?

არა იმას ეჩვენა
უფრო საშინელება:

მან ნახა... ღმერთო ჩემო!
წარმოთქმაც მეძნელება..

მან ნახა... რაც ხმელეთზედ
საფსე ქვევრები იყო,

რაღაც მანქანებითა
ერთბაშათ დაცლილიყო.

ან. ფურცელაძე.

## დიდი საქმე.

(შილერსლებენისებური)

მოდი ღვინოს ჩავუსხდეთ,
ღვინო სჯობს ყველასფერსა,
ღვინოს თავი შევსწიროთ—
ის ამშვენებს ქართველსა!
და თუ როდისმე გვკითხონ:
ეხლა როგორ ებრძანდებით?
ამაყათ ვუპასუხოთ:
„სულ ღვინით შევექცევით!“

ეგრეთი გვაქვს ადათი,
ეგრეთი ჩვეულება,
რომ დიდი, თუ პატარა,
ღვინოს ენაცვალება.
ქვეყანა რომ იწოდეს,
. . . . . . . . . . . .
მაინც ქართველი კაცი
თავს ვერ ანებებს ღვინოს.

ღვინის სმა ვალი არის
ყოველი ქართველისა
და რაც უნდა მოუხდეს—
არ უმტყუნებს ღვინოსა.
იმისი საკვეხური,
დიდი ბედნიერება,
სუყოველთვის ის არი—
ღვინოს ეტრფიალება.

ჩემო სამშობლო მხარევ,
მუდამ ღვინის ერთგულო!
შენს შვილებს რაღას ეტყვი
პასუხი რომ მოგკითხონ?
თქვენ იმათ საყვედურზედ:
„ჩვენთვის რაღას შვრებოდით?“
ხომ უნდა უპასუხოთ:
„ღვინოს შევექცეოდით“

ან. ფურცელაძე.

მლუგება საბერძნეთს; მაგრამ ჩვენ ისა გვწყინს, რომ ფრანციის მმართებლობა ეწინააღმდეგება კანდიელების ბრძოლას, მაშინ როდესაც ხმა მაღლა აცხადებს, რომ მე ვარო წარმომადგენელი ხალხობის პრინციპისა. ჩვენ გვიკვირს ფრანციის მმართებლობა კანდიელების მეცადინეობას როგორ სთვლის უკანონოდ, მაშინ როდესაც მარკიზ ლავალეტის პირით აცხადებს, რომ რომელს მაზრებსაც აქვს თავის სამშობლო ქვეყანასთან ერთი შთამომავლობა, ერთი ჩვეულება, ერთი ენა და სხვა, ისინი რომ თავისვე სამშობლო ქვეყანას შეუერთდნენ—მოსაწონი არისო. ფრანციას ვერაფინ მოსთხოვს, რომ ის გაერიოს საბერძნეთის საქმეში და საბერძნეთის მხარე დაიჭიროს, მაგრამ ჩვენ გვინდა, რომ ფრანციის მთავრობა ერთ გზაზედ ადგეს, რაც ერთხელ წარმოუთქვამს, იმას აღარ ეწინააღმდეგოს. მინაც ალპის ძირს ერთი აზრი წარმოსთქვა, ის აღარ უნდა გადაეთქვა და არც წინააღმდეგი უნდა გახდომოდა თავის აზრს იდაზედ.

„ამბობენ ფრანციამ ამ გვარი პოლიტიკა აღმოსავლეთის საქმეში იმიტომ აღმოაჩინაო, რომ რუსეთი დიდი ხნით თანაუგრძნობსო აღმოსავლეთის ქრისტიანებს. აღმოსავლეთის ქრისტიანებს განა იმისთვის კი არ უყვართ რუსეთი, რომ ის მართლმადიდებელის სარწმუნოებისაა? არა. იმათ რუსეთი უფრო იმისთვის უყვართ, რომ ის არის ისლამის მოწინაღმდეგე. აღმოსავლეთის ხალხები უფრო ადვილ-მორწმუნენი არიან და იმათ ცოტაც გაიტაცებს ხოლმე. ლიბერალურმა ფრანციის მმართებლობის სიტყვებმა ისინი მოატყუა; იმათ თავის საქმეში ნაპოლეონზედ ჰქონდათ დიდი იმედი. აღმოსავლეთის ქრისტიანებმა რაკი შეიტყვეს ფრანციის მმართებლობის განზრახვა, მაშინვე იმაზედ გული აჰყარეს. ისინი დარწმუნდნენ, რომ ჩუმათ წინააღმდეგობის მეტს ფრანციის მმართებლობისაგან ვერას ირგებენ. შესანიშნავია, რომ აღმოსავლეთის ქრისტიანებს იმედი აქვთ ანგლიის კეთილმოსურნე ნეიტრალიტეტზედ.

ბერძენი, რომელსაც თავის სამშობლო ქვეყნის გაძლიერება ჰსურს, არაოდეს არ ივიწყებს იმ კეთილ მოქმედებას, რომელიც იმას უყვეს გაჭირვების დროს. ჩვენ იმას არ ვიტყვით, რომ ბერძნის ხალხი თავ-მოყვარე არ იყოს, მაგრამ ამას კი ყოველთვის ვიტყვით, რომ იმის თავმოყვარეობას არაოდეს არ დაუვიწყებია მადლობის თქმა იმ სახელმწიფოებისთვის, რომლებიც შეეწივნენ იმას თავისუფლების დამყარებაში. რაც კი ფრანციის და ანგლიის მმართებლობას კეთილი უყვია საბერძნეთისთვის, ის ხალხის გულში დაუვიწყარი შეიქნა და საბერძნეთის ისტორიაშიაც ჩაიწერა. ახლანდელი ფრანციის შეუბრალებლობა ვერ ამოფხვრის ბერძნების გულში იმ მადლობას, რომელსაც ისინი უძღვნიან ფრანციის ხალხს სულგრძელის შემწეობისთვის საბერძნეთის განთავისუფლების დროს. ბერძნები არ დაივიწყებენ მორეიაში მარშალის მეზონის გალაშქრებას, რომელმანაც დაიცვა ბერძნები ეგვიპტელის ჯარის სიმტარვალისაგან და დაბოლოვე საბერძნეთის თავისუფლებისთვის ამტყდარი ომი.

**ამერიკა.** გაზეთში „Courricr des Etats Unis." აი რას სწერენ: ხუარესი მეხიკაზედ გაელაშქრა; დღეში ხუთმეტს მილს გაივლის ხოლმე. მაზრის დედა ქალაქებში სამ-სამდღეს ისვენებს, მეტს არა.

უკანასკნელი ფოჩტა რომ გამოემგზავრა, ის მაშინ იყო ზაკატეკაზში. ღენერალი ორტეგა ხუარესს მართლა შეუპყრია. უალრეს რჩევაში მეხიკის არხიეპისკოპოსი იმპერიის წინააღმდეგი შეიქნა. მეხიკის მდიდრებისგან მილიონ ნახევარი პიასტრი ძალდატანებით ისესხეს. მეხიკის ეპისკოპოსებში ბევრი აპირობს ფრანციის ჯართან ერთად გამოსვლას მეხიკიდგან.

## ტ ე ლ ე გ რ ა მ მ ე ბ ი,

პეტერბურგში მიღებული.

**ბერლინი,** 3 (15) თებერვალს. ბერლინი გაზეთში Banc und Handels Zeitung-ში დაბეჭდილია ვენიდამ გაგზავნილი კორრესპონდენცია, რომელშიაც მოხსენებულია, რომ რუსეთის ელჩმა, გრაფმა შტაკელბერგმა ავსტრიის უცხო ქვეყნის საქმის მინისტრს, ბარონ ბეისტს გამოუცხადა პეტერბურგის კაბინეთის კმაყოფილება, რადგანაც ავსტრია რუსეთთან სრულიად თანახმაა აღმოსავლეთის საქმის შესახებ. ამასთან რუსეთის ელჩმა გამოთქვა ისიც, რომ როდესაც ოსმალეთის ქრისტიანებს მიენიჭებათ თანასწორი უფლება მაჰმადიანებთან, მაშინ რუსეთი გულწრფელად დაეხმარება პორტის გაუნაწილებლობას და ერთობას, და თუ ეს არ იქმნა, მაშინ ის ყოველის ღონისძიებით ეცდება, რომ დაეხმაროს იმასთან ერთის სარწმუნოების ამღიარებელს ხალხს.

**ლონდონი,** 3 (15) თებერვალს. Times-ში სწერენ ვაშინგტონიდამ, რომ წარმომადგინელების პალატამ დააწესა, რომ ათს სამხრეთის შტატში სამხედრო მდგომარეობა იყოს და ისინი დაემორჩილონ რეგულიარულის ჯარის აფიცრებს.

**პარიჟი,** 3 (15) თებერვალს. ღლევანდელს სჯულის-დამდების კორპუსის შეყრილობაში, იმისმა პრეზიდენტმა გრაფმა ვალევსკიმ წარმოსთქვა სიტყვა, რომელიც აი რა აზრებს შეიცავს: „იმპერატორი მტკიცის ნაბიჯით მსვლელობს განათლების გზაზედ, იმ გზაზედ, რომელზედაც თავ-ბოლო ეკარგებათ იმათ, რომლებიც ნებას აძლევენ თავის თავს, რომ სხვა და სხვა აუსრულებელი და უსარგებლო ოცნებებით (უტოპიებით) გატაცებულნი იყვნენ". იმპერატორმა მოგვანიჭა ჩვენ უფრო მომატებული უფლებანი. ამით ჩვენი პასუხის-მგებლობა უფრო გაძლიერდა და ბევრი ვალდებულებაც დაგვედვა. ახლა ფრანცია შეურყეველია თავის უძლიერესს ერთობაში. ამიერიდგან იმას შეუძლიან გულდადინჯებით უყუროს დიდ'ა საქმეებს და სრულიად დარწმუნებული უნდა იყოს, რომ არც ერთი უდიდესი ინტერესი არ-დარჩება უყურადღებოთ ფრანციის მმართებლობისაგან; ფრანციის ხალხი აგრეთვე მტკიცედ უნდა იყოს დაჯერებული, რომ მმართებლობა ყოველის გაჭირვებისთვის გამზადებულია და მით დაუმტკიცებს ფრანციის ხალხს, რომ არც ერთი დიდი ღვაწლი არ იქმნება სამძიმო იმის პატრიოტიზმისთვის."

**პარიჟი,** 4 (19) თებერვალს. ერთ ფრანცუზულს გაზეთში სწერენ, რომ 31 იანვარს (12 თებერვალს) სამშაბათს პრუსიის ელჩმა გრაფმა ბოლცმა წარუდგინა ფრანციის უცხო საქმის მინისტრს, მარკიზს მუტიეს ნოტა, რომელშიაც გამოცხადებულია, რომ პრუსიის მმართებლობა სრულებით თანახმაა ფრანციის პოლიტიკაზედ აღმოსავლეთის საქმის შესახებ.

**კელნი,** 8 (20) თებერვალს. კელნის გაზეთში დაბეჭდილია მადრიდიდამ გაგზავნილი ტელეგრამმა, რომელიც აცხადებს, რომ კაროლევის იზაბელლის მეუღლე კაროლი ფრანცისკი ისპანიიდგან გააგდესო, რადგანაც იმან თავის მეუღლის კაროლევის ტახტიდგან ჩამოგდება მოიწადინაო. კაროლს დარჩა კიდევ იმისთანა წერილები, რომელნიც შეურაცხჰყოფენ თვით კაროლევას.

**კონსტანტინოპოლი.** 5 (17) თებერვალს. მმართებლობის პირით ამტყუნებენ იმ ამბავს, ვითომც ეგვიპტის ვიცე კაროლს იმისთანა მოთხოვნილებანი გამოეცხადებინოს, რომლებსაც აზრში აქვს ეგვიპტის განშორება ოსმალეთთან. ეს ამბავიაო მოგონილი საკუთარის ბოროტგანზრახვის გამო.

**მეხიკა,** 21 იანვარს. მეხიკის იმპერატორის ჯარს ნაბრძანები აქვს, რომ ის შეებას რესპუბლიკელების ჯარს სან-ლუი-პოტოზთან. ამ ბრძოლაზედ იქნება დამოკიდებული იმპერატორი მაქსიმილიანის მობრუნება ევროპაში და ან დეპუტატების ამორჩევა სანაციონალო კრებაში.

ტფილისში მიღებული.

**პეტერბურგი,** 25 თებერვალს. გამოიცა უმაღლესი გრამოტა უწინდელის კონსტანტინოპოლის პატრიარხის, ბრუსსის არხიეპისკოპოსის გევორქის დამტკიცებაზედ ეჩმიაძინის პატრიარხად და ყველა სომხების კათოლიკოსად. 19 თებერვალს კათოლიკოსმა გევორქმა ბრწყინვალედ სწირა კონსტანტინოპოლს პერაში, შემდეგ ყველა სასულიერო წოდებით მიულოცა რუსის საელჩოს დიდი ბრწყინვალე დღე და საელჩოს სახლში-პარაკლისი გადაიხადა.

---

ტფილისის საფოჩტო სამმართველოსაგან. რადგანაც დიდი ზვავი ჩამოწვა სამხედრო—საქართველოს გზაზედ, გუდაურის და კობის სტანციებს შუა, ამისგამო ეკიპაჟების სიარული ამ ადგილებში მოისპო; 18 თებერვლიდამ ამ შემთხვევამ რუსეთიდამ მომავალი ფოჩტები დააბრკოლა; აგრეთვე აქედამ გამგზავრებული ფოჩტები გუდაურში დარჩნენ გზის გახსნამდის და მხოლოდ ახლა დიდის გაჭირებით გადააქვთ ფოჩტა ხელით.

---

## კ ე რ ძ ო ო ბ ი თ ი გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა.



# სულიეს ცირკში

### ახალი ამბავი, ახალი ამბავი!

კვირას, ხუთის მარტიდამ დაწყებული მთელის დიდ მარხვის განმავლობაში ყოველდღე იქნება იმისთანა ბრწყინვალე სპეკტაკლი, რომელიც არსად არ ნახულა და აქამომდე ტფილისში არავის წარმოუდგენია: ამ წარმოდგენას ეწოდება: „დიდი ანგლიური ნადირობა, ანუ ცოცხალი ირმის დევნა" ამგვარ ნადირობისთვის ცოცხალი ირემი ცალკეა გაწვრთნილი. მთელი ნადირობა წარმოსდგება თუთხმეტ ნაირს სურათში.

ამ ნადირობაში მიიღებს მონაწილეობას:

25 ცხენი, რომლებზედაც ისხდებიან ამაზონკები და კავალერები. ისინი გადაევლებიან სხტებს (ბარიერებს); ლობეებს, ირლანდიის კედლებს და აირბენ-ჩაირბენენ კასკადებზედ, რომლებსაც ათი არშინი სიმაღლე ექნება. ამ ნადირობაში დაესწრებიან მონადირე ქალები, მონადირე კაცები, ბერეიტერები (მეჯინიბეები), გლეხები და ძაღლები.

ამ სპეკტაკლის წინათ მოხდება დიდი საცხენო წარმოდგენა. ამ წარმოდგენაში მიიღებს მონაწილეობას მთელი აღმოსავლეთის ტრუპპა.

წარმოდგენა დაიწყება ყოველ დღეს საღამოს $7^{1}/_{2}$ საათზედ.

ყოველს კვირას ნაშუადღის 1-ლს საათზედ იქნება დიდი წარმოდგენა საკუთრად ყმაწვილებისთვის.

ორშაბათს, 6 მარტს, იქნება პირველი დებიუტი პრუსსიელ მოჯირითისა, უ. შელსმეიერისა, რომელიც არის ბერლინის საკარონლო ცირკიდგან.—

დირექტორი ლ. სულიე.

---

სერბინოვის სახლის გასასყიდათ პრიკაზში ტორგი დანიშნულია 3 მარტს და პერეტორჟკა 7 ამთვე'ს. ეს სახლი დგას სასახლის ახლოს და არის ოთხ-ეტაჟიანი. ის შეიცავს ოცდა ჩვიდმეტს ოთახს და სხვა სადგომებს; სალალო მიწა შეიცავს 284 კვადრატის საჟენს. ზემოხსენებული სახლი უჭირავს სამს სავაჭრო შენობას კანდრახტით და რემონტით თურთ. ის აძლევს წელიწადში 2100 მანეთს სარგებელს.

---

ისყიდება 6 ნაჭერი მიწა და ერთი საზაფხულო სადგომი-დაჩა.

პირველი ნაჭერი მიწისა შეიცავს 10 დესეტინას და 760 კვადრ. საჟენს და მდებარეობს საბურთალოზედ, ლაბრატორიის კაზარმების იქით, ვერის წყლის გაღმა.

მეორე ნაჭერი შეიცავს 1986 კვ. საჟ. მიწას, რომელიც მდებარეობს ვერაზედ, აგურის ქუჩაზედ საჭურჭლესთან.

მესამე ნაჭერი მდებარეობს მოსკოვის ბალკაში, სადაც მოსკოვის ზასტავა იყო და შეიცავს 2000 კვ. საჟენამდე მიწას, რომელიც არის იჯარით მიცემული კვ. საჟ. 40 კაპეიკათ წელიწადში.

მეოთხე ნაჭერი არის საძოვარი მთა ზემოხსენებული ბალკის ზემოთ და შეიცავს 5 დესეტინას და 382 კვ. საჟ. მიწას.

მეხუთე ნაჭერი, სახელათ ნაურდოვალი, არის საბალე ადგილი თავისის წყლით; ის მდებარეობს ვოენო-გრუზინსკის გზის აღმართთან მტკვრის პირას $1^{1}/_{2}$ ვერსტზედ ტფილისზედ და შეიცავს 1-ს დესეტინაზედ მეტს მიწას.

დაჩა, რომელიც მდებარეობს სოფელს ოქროყანას, კოჯრის გზის მაჯვენივ, ტფილისზედ არის 2 ვერსზედ და შეიცავს 183 დესეტ. და $1041^{1}/_{2}$ კვ. საჟ., სახნავს, სათიბს და საძოვარს მიწას, ორ ეტაჟიან სახლს თავისის თავლით და სამზარეულოთი, ბაღს, წყალს და ორს აუზს.

ფასზედ მოლაპარაკება შეიძლება ამ [მამულის პატრონთან, რომელიც ზდგას მოსკოვის ბალკაში, ჩინოვნიკის სუსლოვის სახლისა ზემო ეტაჟაში.